ახალი ხარაგაული

362 (21) 28 სექტემბერი, 2017 წ

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში საფეხბურთო მოედანი გაიხსნა

25 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორითში განახლებული საფეხბურთო მოედანი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის პირველი მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, გენერალური მდივანი დავით მუჯირი, იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი დავით რუხაძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტადიონი ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებით

მოეწყო და ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. ლევან კობიაშვილმა ადგილობრივებს ფეხბურთის მოედნის გახსნა მიულოცა და ახალგაზრდებს საჩუქრად ბურთები და მაისურები გადასცა. აღსანიშნავია, რომ ბორითის სკოლა იმ სკოლებს შორის ერთ-ერთია, სადაც ფეხბურთის ფედერაციის მასშტაბური პროექტი - „ფეხბურთი სკოლებში“ ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, სპორტის მასწავლებლები უკვე გადამზადდნენ და ადგილობრივ ბავშვებს ფეხბურთის გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი ფიქრობს, რომ განახლებულ სტადიონზე ბევრი სპორტული აქტივობა დაიგეგმება და ახალგაზრდები უფრო მოტივირებულები გახდებიან.

„ბორითი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული ერთეულია. აქ ახალგაზრდებს კეთილმოწყობილი სტადიონის პრობლემა ნამდვილად ჰქონდათ. ძალიან მიხარია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ამ პრობლემის მოგვარება შეძლო და ადგილობრივებს ასეთი საჩუქარი გაუკეთა. მადლობა მინდა, გადავუხადო ლევან კობიაშვილსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ინიციატორი იყო ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისა.“-აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა.

სპორტის მასწავლებელი სულიკო დონაძე ამბობს, რომ ბორითს ბავშვთა ფეხბურთის განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს. მისივე თქმით, სოფელში სამი ასაკობრივი გუნდია.

ამავე დღეს, სოფლის ახალგაზრდებსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს შორის, სიმბოლური მატჩი შედგა. თამაში მასპინძლების გამარჯვებით 4:2 დასრულდა.

ზვარეში დოღი გაიმართა

23 სექტემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში დოღი გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ზვარელი ახალგაზრდების ინიციატივითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ბოლო ათი წელია, იმართება. ტრადიციულ დოღს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ მაღრაძე, გამგებლის წარმომადგენელი ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბერიკა ტალახაძე, მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ტალახაძე, სოფლის მცხოვრებლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. წლევანდელი ღონისძიება მრავალფეროვნებითა და მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდა. გამარჯვების მოსაპოვებლად ერთმანეთს ადგილობრივი და მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული თვრამეტი ცხენოსანი ეჯიბრებოდა.

დამსახურებული პირველი ადგილი მერაბ თიკანაშვილმა მოიპოვა, მეორე ადგილზე ლაშა ღონღაძე გავიდა, მესამე ადგილი კი დათო ჭყოიძემ დაიკავა. გამარჯვებულები გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, არჩილ მაღრაძემ, ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დააჯილდოვა. მათ ასევე ამხანაგობა „ელიტ და კომპანიის" წარმომადგენელმა, რომელიც ჩრდილში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს, ფულადი ჯილდო გადასცა. პირველ ადგილზე გასულს 100 ლარი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს კი 50-50 ლარი. გარდა ამისა, ცხენის მეპატრონეებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან საჩუქრად ქერი დაურიგდათ.

არჩილ მაღრაძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი აქტივობები მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ყოველთვის მხარდაჭერილ იქნება.

რიკოთი-ხარაგაულის ალტერნატიული გზის პროექტი 80 მილიონი დოლარით ფინანსდება

„აზიის განვითარების ბანკი“ რიკოთი-ხარაგაულის ალტერნატიული გზის პროექტს 80 მილიონი დოლარით აფინანსებს. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ, საქართველოს მთავრობასა და „აზიის განვითარების ბანკს" შორის სასესხო ხელშეკრულება რატიფიცირებისთვის პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში უკვე წარადგინა. პროექტი 50 კილომეტრი გზის მშენებლობას ითვალისწინებს. „აზიის განვითარების ბანკმა“ საქართველოს 80 მილიონი დოლარის სესხი 22 წლიანი ვადით გამოუყო. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ განმარტა, აღნიშნული პროექტი განსხვავდება რიკოთის პროექტისგან, რომელზეც თავის მხრივ, უკვე არსებობს წინასწარი შეთანხმება ევროპის საინვესტიციო ბანკთან, აზიის განვითარების ბანკთან, მსოფლიო ბანკთან და იაპონიის მთავრობასთან, რომლებიც რიკოთის პროექტს დააფინანსებენ. პროექტი 4 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს და მისი ბიუჯეტი 700-800 მილიონი დოლარია.

ვინ იბრძოლებს ხარაგაულის მერობისთვის -კანდიდატების ვინაობა ცნობილია

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის / თვითმმართველი თემის მერის არჩევნები 2017 წლის 21 ოქტომბერს გაიმართება. ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ხარაგაულის მერობისთვის ექვსი კანდიდატი იბრძოლებს.

„ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველოს" მერობის კანდიდატი ჯაბა მაღლაკელიძე იქნება, „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ პარტიიდან გულადი ყრუაშვილი იბრძოლებს. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის მერობის კანდიდატი- ნიკოლოზ თოფურიძე გახლავთ; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ - თორნიკე ავალიშვილი; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - პაატა კიკნაძე; რაც შეეხება, საარჩევნო ბლოკ „გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალ საქართველოს“- ლევან მარდალეიშვილი წარადგინა.

ბაგბეადის ეფექტურობის შემსრულებელმა, ბრჩილ მაღრაძემ, ჩრდილში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ეფინანსება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილში გზის რეაბილიტაცია დაიწყო. გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ მაღრაძე, გამგებლის წარმომადგენელი ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბერიკა ტალახაძე და მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ტალახაძე ადგილზე გაეცნენ.

პროექტის ფარგლებში ბეტონის საფარი სოფლის ცენტრალური გზის 2400 მეტრიან მონაკვეთზე დაიგება. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან 323 500 ლარით დაფინანსდა და მას ტენდერში გამარჯვებული ამხანაგობა „ელიტ და კომპანია" ასრულებს.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ჩრდილის გზა დეკემბრის შუა რიცხვებისათვის მოეწყობა.

ჩრდილი ზღვის დონიდან 720 მეტრზე მდებარეობს და ხარაგაულიდან 22 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის კოშკი.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, არჩილ მაღრაძემ, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგი განახორციელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, არჩილ მაღრაძემ, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან, თემური თაბუკაშვილთან ერთად, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნადაბურში საბავშვო ბაღი, საბეში საავტომობილო ხიდი, უბისაში საფეხმავლო ხიდი, წაქვასა და მაქათუბანში კი გზის მობეტონების სამუშაოები დაათვალიერეს.

ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდიდან 200 000 ლარით ფინანსდება.

სოფელ საბეში საავტომობილო ხიდი დასრულებულია, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 18 162 ლარი დაიხარჯა. უბისაში, ძინძიბოურის უბანში, საფეხმავლო ხიდი მოეწყო. აღნიშნული პროექტიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 6 630 ლარით დაფინანსდა.

წაქვაში გზაზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. გზის რეაბილიტაციისათვის (1 900 მ.) რეგიონული განვითარების ფონდიდან 262 950 ლარი გამოიყო.

უახლოეს მომავალში დასრულდება ასევე მაქათუბანში ცენტრალური გზის 2,1 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი“ ასრულებს.

მარელისში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი გაიხსნა

მარელისში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი გაიხსნა. აღნიშნული პროექტი ხარაგაულში საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკამ“ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორობით განახორციელა. ბაღი აღიჭურვა ავეჯით, სათამაშოებითა და სხვა საჭირო ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის პროექტი სულ 8 მუნიციპალიტეტში განხორციელდა და ძირითადად ისეთი დასახლებები შეირჩა, სადაც ადგილობრივებს საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობა არ ჰქონდათ.

ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფები 3 და 5 წლის ასაკის ბავშვებზეა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე ბაღში 10 აღსაზრდელია, ხოლო იანვრიდან სამი კიდევ დაემატება. ჯგუფს ერთი აღმზრდელ-პედაგოგი, თამარ მაისურაძე, მოემსახურება.

საერთაშორისო ორგანიზაცია მარელისის ალტერნატიულ ბაღს 2017 წლის ბოლომდე დააფინანსებს. იანვრიდან კი ვალდებულებას ადგილობრივი ხელისუფლება აიღებს.

პროექტის ფარგლებში ხარაგაულის N1 საბავშვო ბაღში სკოლამდელი მზაობის ცენტრიც ფუნქციონირებს. ცენტრი მომსახურებას იმ ბავშვებს უწევს, რომელთაც ასაკის გამო სკოლაში შესვლა ვერ შეძლეს.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი ამბობს, რომ ამჯერად გაერთიანებაში 16 ბაღია, რომელსაც მარელისის ალტერნატიული ბაღი დაემატა. ჭიპაშვილი მადლობას უხდის „კივიტას გეორგიკას“ და იმედს იტოვებს, რომ ამ სოფელში საბავშვო ბაღის აშენების აუცილებლობა დადგება. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში ნადაბურში ახალი სკოლამდელი დაწესებულება გაიხსნება. როგორც ბაღების გაერთიანების დირექტორი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, ნადაბურის ბაღისათვის საჭირო ჭურჭელი შეძენილია, რაც შეეხება რბილ ავეჯს, ტენდერში გამარჯვებული კომპანია მის მოწოდებას თვის ბოლომდე უზრუნველყოფს.

ეკა შავიძე

სტიქიით დაზარალებულ ბაქრეულ ოჯახს ბაქწია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება?

18 სექტემბერს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა „სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის“ ანგარიში მოისმინეს და დეტალურად მიიღეს ინფორმაცია, თუ რამდენ ოჯახს გაეწია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება. კომისიის მდივანმა, ია ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ 2016 წლიდან დღემდე გამგეობაში საცხოვრებელი სახლის დაზიანების, დანგრევისა და ხანძრის შესახებ სულ 328 განცხადებაა შესული. ტაბატაძე ამბობს, რომ იმ ოჯახებს, რომლებსაც გასულ წელს პირველი კატეგორია მიენიჭათ, ყველა დაკმაყოფილდა და საერთო ჯამში ფულადი დახმარება შვიდმა მოქალაქემ მიიღო. ასევე ფულადი კომპენსაცია მიიღო ერთმა, მეორე კატეგორიის მქონე ოჯახმა, რომელსაც საცხოვრებელი სახლი ხანძრის შედეგად დაუზიანდა. ამ ეტაპზე დასაფინანსებელი თვრამეტი პირველი კატეგორიის ოჯახია, აქედან სამი ხანძრის შედეგადაა დაზარალებული. რაც შეეხება მიმდინარე წელს გაცემულ კომპენსაციას, ტაბატაძე ამბობს, რომ დახმარება თერთმეტ პირველი კატეგორიის ოჯახს გაეწია, საიდანაც სამი ხანძრით და რვა სტიქიითაა დაზარალებული. ასევე დახმარება მიიღო ხანძრის შედეგად დაზარალებულმა მეორე კატეგორიის ორმა პიროვნებამ. საერთო ჯამში, 2016 წლიდან დღემდე 292 ოჯახია შემოწმებული, რომელთაც სხვადასხვა კატეგორია მიენიჭათ.

დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კატეგორიების მინიჭებასთან დაკავშირებით არის დებულებაში ხარვეზები და უმჯობესი იქნება, თუ მომავალში მოხდება ამ დებულების გადახედვა და შესწორება. ასევე დეპუტატთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ აუცილებელია გაცემული თანხების გაკონტროლება, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქალაქე დანიშნულებისამებრ არ იყენებს მიღებულ თანხას.

ამავე ბიუროს სხდომაზე გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, ალექსანდრე ტაბატაძემ, წარმოადგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეკომიგრანტთა შესახებ. მისივე ინფორმაციით, 52 ეკომიგრანტი ოჯახი სოციალური სამსახურის მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი და არსებული დაზიანებების ამსახველი მასალები გაგზავნილია შესაბამის ორგანოში. ალექსანდრე ტაბატაძე ამბობს, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტრო შეისწავლის და თითოეულ მათგანს კატეგორიას მიანიჭებს. „ეკომიგრანტებს, სავარაუდოდ, 5 -დან 20 ათასი ლარის ფარგლებში გაეწევათ დახმარება, რის შემდეგაც დაზარალებული თავად გადაწყვეტს, სოფელში შეიძინოს საცხოვრებელი სახლი, თუ შეიცვალოს ადგილმდებარეობა. ძირთადად სამინისტრო მომხრეა, რომ რაიონიდან არ მოხდეს გადინება და იმავე ან მეზობელ სოფელში დარჩეს ოჯახი. რაც შეეხება თანხის გაცემას, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს დაიწყება.“ - დასძინა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სოციალური განყოფილების უფროსმა.

ლელა გუგულაშვილი

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიები ცნობილია

რამდენიმეთვიანი მოლოდინის შემდეგ, პარტიების საარჩევნო სიები ცნობილია. დოკუმენტაციის წარდგენის ვადა ცესკოში ამოიწურა. ოპოზიციური პარტიების ხუთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასე გამოიყურება:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:
1. ქეთევან ზუმბაძე;
2. თორნიკე ავალიშვილი;
3. თეიმურაზ მაღლაკელიძე;
4. კობა გოგსაძე;
5. თამაზ ლომიძე.

საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“:
1. აკაკი მაჭავარიანი;
2. დავით მაღლაფერიძე;
3. გია თაბუკაშვილი;
4. ზვიად კურტანიძე;
5. ვეფხვია გრიგალაშვილი;

პარტია – „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“:
1. თეიმურაზ ფცქიალაძე;
2. ნოდარ გოგოლაძე;
3. პაატა კიკნაძე;
4. თამარ მაღლაკელიძე;
5. რომან შერგელაშვილი.

პარტია „შენების მოძრაობა“:
1. ინგა მაღრაძე;
2. ომარ გაგოშიძე;
3. ზურაბ ჭანკოტაძე;
4. ენვერ ჩადუნელი;
5. გელა ბერაძე.

საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო“:
1. გულად ყრუაშვილი;
2. ვლადიმერ ბარბაქაძე;
3. მალხაზ ტალახაძე;
4. კახაბერ ყრუაშვილი;
5. ჟანა ყრუაშვილი.

რაც შეეხება **პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“** პარტიული სიის ათეულს, შემდეგნაირად დაკომპლექტდა.

1. მანანა ბარბაქაძე;
2. გივი თხელიძე;
3. ოთარ ლურსმანაშვილი;
4. გივი თავზარაშვილი;
5. მარინა ხვედელიძე;
6. იუზა კელენჯერიძე;
7. ეკა შველიძე;
8. შალვა ლურსმანაშვილი;
9. ჯამბულ გამცემლიძე;
10. ნინო თხელიძე.

ვინ არიან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ხარაგაულში

გთავაზობთ, თვითმმართველი თემის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატებს პარტიების მიხედვით:

დაბა ხარაგაული:

დავით მაღლაფერიძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო;

ქეთევან ზუმბაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

თეიმურაზ ფცქიალაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ინგა მაღრაძე - პარტია „შენების მოძრაობა;“

ელვარდ გიორგიძე -საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;“

პაატა გოგოლაძე -პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

ბაზალეთი :

ამირან გლუნჩაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

გორა კამკამიძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

თამარ კამკამიძე- „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ვარლამ ჭიპაშვილი -პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

ბორითი:

ნათელა მაქაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ამირან სხილაძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

მალხაზ წიქარიშვილი -„დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ვლადიმერ ბარბაქაძე -საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;“

იამზე პაქსაშვილი - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

ვარძია:

კობა გოგსაძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ზურაბ ხიჯაკაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

დავით კოჩაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ლევან ლევიძე -პარტია „შენების მოძრაობა;“

გიორგი სარალიძე - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;“

გივი ხიჯაკაძე - პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

ვახანი:

ვახტანგ მეგრელიშვილი -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ოთარ არევაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

ნოდარ გოგოლაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

მერაბ ღონღლაძე - პარტია „შენების მოძრაობა;“

ირაკლი იჩქიტიძე - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;“

ირაკლი ფერაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“.

ზვარე:

ირმა ალხაზიშვილი- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

თემურ მაღლაკელიძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

ლევან ფანქველაშვილი -„დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ვლადიმერ ტალახაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

კიცხი:

თენგიზ ჩაჩანიძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ჯუნა ბარბაქაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

სიმონ ბერაძე - პარტია „შენების მოძრაობა;“

აკაკი ლურსმანაშვილი - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო;“

უშანგი ბერაძე - საინიციატივო ჯგუფი - დიმიტრი სიხარულიძე, გიორგი თაბუკაშვილი, მამუკა ქოჩიაშვილი, მედეა ღონღაძე, ბადრი ბერაძე.

ლაშე:

მადონა მანჯავიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ზაზა ჩიტაძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

მერაბ კალანდაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

პავლე კიკალიშვილი - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

ლელვანი:

თინათინ მაღრაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

მანანა მაღრაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

გურამ ბერაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ნიკოლოზ მაღრაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო;“

ამირან მაღრაძე - საინიციატივო ჯგუფი - მურთაზ ლაცაბიძე, ალექსანდრე მაღრაძე, გივი შარიქაძე, გიორგი მაღრაძე, ნაირა შარიქაძე.

მოლითი:

თამილა ჭყოიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

ჯემალ კიკნაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

თენგიზ ჭყოიძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

ვახტანგ ლაცაბიძე - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;“

ვახტანგ ტალახაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

ნადაბური:

კობა შუბითიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

მამუკა გელაშვილი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

დოდო ხაჩიძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო.“

სარგვეში :

ზურაბ ასათიანი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;“

გულნარა კიკალიშვილი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;“

რომან შერგელაშვილი - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;“

გაგრძელება ▶ გვ 3.

,,მოყვასისათვის შეწირულები" ღვთის სახლში - ქვემო ნიქოზის ამაღლების ტაძარში...

პროექტით ,,ჩემი საქართველო აქ არის!" ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა შიდა ქართლის ძველთაძველ მიწაზე, ლიახვის ხეობაში, ქვემო ნიქოზის ამაღლების ტაძარში გამართა სპექტაკლი ,,მოყვასისათვის შეწირულები" (სცენარის ავტორი, რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე)

„თავდადებულებს ჩვენც
შევემატეთ,
ქართული მიწის გადასარჩენად..."

ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ... შევდექით ლიახვის ხიდზე და სინანულით მოვიგონეთ ხარაგაულის მკვიდრი, საუკეთესო თვისებებით გამორჩეული ვაჟკაცი, თენგიზ ჭიპაშვილი, რომლის ლამაზი სიცოცხლეც სწორედ აქ, ლიახვის ხიდთან, დასრულდა 1991 წლის 17 იანვარს. ოსმა ექსტრემისტებმა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი მაშინ ააფეთქეს, როცა თენგიზ ჭიპაშვილის მანქანა ხიდზე გადადიოდა.

მოვიგონეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდრის მიწაზე აღზრდილი ალალმართალი, შრომითა და ადამიანთა სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცი, ვაზიანის მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42 - ე ბატალიონის მებრძოლი, 29 წლის ზაზა გლუნჩაძე, რომელიც თავდადებით იბრძოდა სამაჩაბლოს მიწაზე და 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძოლის ველიდან თანამებრძოლის გამოყვანისას მოცელა მტრის ტყვიამ...

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?" - სულში შემოიჭრა პოეტის ტკივილიანი სტრიქონები... მაგრამ დავკარგეთ, რადგან ისტორიის ჩარხი მავანთა ბოროტი ზრახვებით ზოგჯერ უკუღმაც ტრიალებს...

* * *

გზა განვაგრძეთ და მივუახლოვდით სოფელ შინდისს, რომლის უახლესი ისტორიაც 2008 წლის 11 აგვისტოს საკუთარი სიცოცხლის შეწირვით დაწერეს შინდისელმა გმირებმა. მოსასმენადაც კი ძალზე ძნელია თავგანწირვის იმ ეპიზოდის გადმოცემა, რაც მათ ირგუნეს...

... რუსული ბატალიონის მეთაური ხარიტონოვი გაოგნებულია ქართველთა წინააღმდეგობით. ჩათვალა, რომ ისინი არ ეყოფოდნენ ქართველებს და რადიოკავშირით დამხმარე ჯგუფი და მძიმე ტექნიკა გამოიძახა... ქართველებიდან ხუთი ჭაბუკი კოლონის პირველივე მანქანაში ჩაკლა მტერმა, დანარჩენები თითქმის საათი და ოცი წუთი უტევდნენ ოკუპანტებს... მათ ეგონათ, ბატალიონი თუ არა, ასეული უწევდა წინააღმდეგობას... როცა ბრძოლა შეწყდა და გვამები დათვალეს, მხოლოდ თორმეტი აღმოჩნდა...

* * *

შინდისელ გმირთა მემორიალთან ლიახვის ხეობის ლტოლვილები და თბილისიდან ნიქოზში მიმავალი სპექტაკლით დაინტერესებული მაყურებლები შემოგვიერთდნენ.

ყვავილებით შევამკეთ მემორიალი, სანთლები ავაბდღვრიალეთ მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად...

ვუცქერდი გრანიტის ქვებიდან გამომზირალ გმირებს: მიხეილ დვალიშვილს, მალხაზ აბაშიძეს, ამირან შაინიძეს, ალექსანდრე ონიანს, რუსლან წულაძეს, ზვიად კაცაძეს, ილია გაბუნიას, რომან ზოიძეს, კახა კოშაძეს, ემზარ წილოსანს, ფელიქს კაკაურიძეს, ვეფხია ჯიშკარიანს, მარლენ ბარამიას, ილია შეყლაშვილს, ირაკლი ჯანელიძეს, შმაგი კუპატაძეს, ნიკოლოზ ფორჩხიძეს და ვრწმუნდებოდი, რომ თითოეულს სკოლის მერხიდანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ,,ხევის ბეთჰოვენის," ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვები: ,,- არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო..."

და არც დაანებეს... მშვიდობა მათ წმინდა სულებს!...

* * *

,,დავემშვიდობეთ" შინდისის გმირებს და გავემართეთ ქვემო ნიქოზისაკენ. იქ, ამაღლების ტაძარში, თორმეტ საათზე ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მეუფის, ისაიას, ლოცვა-კურთხევით, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრი აჩვენებს სპექტაკლს ,,მოყვასისათვის შეწირულები". სპექტაკლის ავტორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე ამ უწმინდეს კედლებში კიდევ ერთხელ „გააცოცხლებს" მოყვასთათვის შეწირულ დიდ ქართველებს: მიხეილ თამარაშვილს , გრიგოლ ფერაძეს, ილია კარტოზიას, იოსებ ჟორდანიას...

სპექტაკლის დაწყებამდე მეუფე ისაია საუბრობს იმ ღვთიურ მისიაზე, რომელიც გზას უჩვენებს ადამიანს, რომ აღასრულოს თავისი ამქვეყნიური ვალი და უშიშრად შეხვდეს განსაცდელს მოყვასის სიკეთისათვის; ლოცავს ლიტერატურული თეატრის კოლექტივს, სპექტაკლის მაყურებლებს...

* * *

თავს უფლებას ვაძლევ (მ.გ.), ორიოდე სიტყვით ვუამბო მკითხველს მეუფე ისაიას შესახებ: წლების განმავლობაში მეუფე ისაიას ცხინვალისა და ნიქოზის მრევლი მიჰყავდა უფლის გზებით, ხოლო მას შემდეგ, რაც ქართულ მიწა-წყალზე არსებული ტაძრები მოჰყვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მეუფე თავისი ნებით დარჩა იქ და იმ ტაძრებში კვლავ აღავლენს წირვა-ლოცვას ქართულად... დროდადრო ის ახერხებს, გადმოკვეთოს საზღვარი, ეწვიოს ქართულ მიწა-წყალს და დალოცოს თავისი მრევლი...

* * *

იზა ვეფხვაძის ნებისმიერ სპექტაკლს რომ დიდი მოწონებითა და ზღვა ემოციით ხვდება მაყურებელი, ეს სიახლე არაა. თუმცა მაინც სხვა დატვირთვაა, როცა სპექტაკლი კონფლიქტის ზონაში და თანაც ღვთის სახლში- ტაძარში ტარდება...

ამჯერადაც უფლის მიერ ბოძებულმა ნიჭმა კვლავ იზეიმა და სპექტაკლის გმირების ამაღლებული ყოფის იზასეულმა გარდასახვამ აპლოდისმენტებისა და სიყვარულით გაჯერებული ემოციის ფონზე ჩაიარა...

უწმინდესის მიერ ნაკურთხი საზოგადოება ,,პიროვნების" თავმჯდომარემ, პოეტმა მზია ხეთაგურმა, იზა ვეფხვაძეს გადასცა აღნიშნული საზოგადოების სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ღირსეული წინაპრების ღირსეულად წარმოჩენისათვის ჯილდოვდება პუბლიცისტი და მხატვრული სიტყვის ოსტატი იზა ვეფხვაძე."

მეუფე ისაია: ***„ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება..."***

ცისანა შარტავა: ***„გავუძლებ კი?..."***

სპექტაკლის შემდეგ ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ დააანონსა, რომ პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!" რამდენიმე დღეში აფხაზეთის საზღვართან, სოფელ რუხში, გაიმართება პრემიერა სპექტაკლისა „შეჩერდით, ორივე მხარეს საქართველოა!", რომელიც ეძღვნება ჩვენს ეროვნულ გმირს, ჟიული შარტავას.

უეცრად სიტყვა ითხოვა მეუფე ისაიამ:

„ამქვეყნად შემთხვევით არაფერი არ ხდება...რა საოცარი დამთხვევაა...მე სწორედ რამდენიმე წუთის წინ მაცნობეს, რომ დარბაზში სპექტაკლის მსვლელობისას მობრძანდა ქალბატონი ცისანა შარტავა, ჟიული შარტავას და. მან არაფერი იცოდა დღევანდელი სპექტაკლის შესახებ. ის სრულიად სხვა დატვირთვით ეწვია დღეს ჩვენს ეპარქიას."

ცისანა შარტავა - ჟიული შარტავას და, პატრიარქის მკურნალი ექიმი :

,,- განგების ძალამ მომიყვანა დღეს ამ ტაძართან. როცა ეზოში შემოვედი, მითხრეს, რომ ტაძარში სპექტაკლი მიმდინარეობდა. უნებლიეთ აღმოვჩნდი მაყურებელთა შორის და თვალზე ცრემლი არ შემშრობია... სპექტაკლის გმირთა ბედზე ვტიროდი. რა მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თურმე უახლოეს დღეებში გაიმართება ჩემი ძმის, ჟიულის, ცხოვრებისადმი მიძღვნილი სპექტაკლის პრემიერა. ამის მოსმენა უფლის სასწაულად მივიჩნიე. ასეთი რამ არ ხდება შემთხვევით...

გავუძლებ კი? ალბათ უმძიმესი იქნება ჩემთვის ამ სპექტაკლის ნახვა...

დევნილთა სოლიდარობის ცენტრის (თავმჯდომარე სოსო პირველი) აქტიურმა წევრმა, ქალბატონმა ციცინო ბაბუციძემ აღნიშნა: მე აჩაბეთის მკვიდრი ვიყავი, ჩემი სულის ემბაზი იყო აჩაბეთი, რომელიც დღეს აღგვილია პირისაგან მიწისა... შემდეგ კი იძულებით ცხინვალშიც დამატოვებინეს თბილი და ტკბილი კერა...

„ჩემი საქართველო აქ არის! '' საოცარი პროექტია, რომლითაც უნიჭიერესი იზა ვეფხვაძე თითქოს შვების მალამოს ადებს დევნილთა სულების უკურნებელ ჭრილობას. ჩვენ მუდამ თქვენ გვერდით ვართ, ძვირფასო ხარაგაულელებო, პროექტით ერთად მოვიარეთ: უფლისციხე, გუდამაყარი, ახალციხის რაბათი, სტეფანწმინდა, დღეს ნიქოზში ვართ, მალე ვეწვევით აფხაზეთის საზღვარს რუხში...

თქვენთან ერთად და თქვენი იმედით ვეძებთ დაკარგულ სამშობლოს. გვაქვს რწმენა, რომ აუცილებლად ვიპოვით, აუცილებლად დავბრუნდებით!

* * *

ხარაგაულის ლიტერატურული თეატრის ადმინისტრაცია მადლობას უხდის ნიქოზის მკვიდრ თამარ და თამაზ მეტრევლების ოჯახს სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მასპინძლობისათვის.

აქვე გაცნობებთ, რომ ჟიული შარტავას ცხოვრებისადმი მიძღვნილი სპექტაკლის პრემიერა 23 სექტემბერს გაიმართა აფხაზეთის საზღვართან, რუხის საჯარო სკოლაში, რის შესახებაც წერილი დაიბეჭდება გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის '' მომდევნო ნომერში.

სპექტაკლი ,,შეჩერდით, ორივე მხარეს საქართველოა!" განმეორებით გაიმართება თბილისში 28 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კორპუსში (სააკაძის მოედანი).

მკითხველს მადლიერებით ვაცნობებთ, რომ ტრანსპორტირების ხარჯები ნიქოზსა და რუხში დააფინანსა ხარაგაულის მკვიდრმა, თავის კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ვაჟკაცმა, ბაქარ დევდარიანმა.

მადლობას ვუხდით კარგ ქართველსა და კარგ ხარაგაულელს, რკინიგზის მე-10 საშუალო (ამჟამად მესამე საჯარო) სკოლის აღზრდილს, ბატონ კობა კიკნაძეს, ლიტერატურული თეატრის 28 სექტემბერს დედაქალაქში გამგზავრების დაფინანსებისათვის!

მერი გიორგიძე

ვინ არიან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ხარაგაულში

დასაწყისი▶ გვ. 2

რუსუდან გიორგაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

საღანძილე:

თეიმურაზ ოსანაძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

კახა ეჯიბაძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

თამარ მაღლაკელიძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

ზურაბ ჭანკოფაძე - პარტია „შენების მოძრაობა;"

კახაბერ ყრუაშვილი - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;"

დავით კიკნაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო;"

ბესიკ ხომასურიძე -საინიციატივო ჯგუფი -შოთა ნაცვლიშვილი, ლალი ღონღაძე, ალექსანდრე მეტრეველი, ლალი ღამბაშიძე, როზა ხომასურიძე.

ფარცხნალი:

პაატა შარიქაძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

გია თაბუკაშვილი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

ნიკოლოზ ბუაჩიძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

მიხეილ ჭიპაშვილი - პარტია „შენების მოძრაობა;"

ავთანდილ თაბუკაშვილი - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

ღორეშა:

შალვა კურტანიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

დურმიშხან იჩქიტიძე -საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

იური მჭედლიძე - პარტია „შენების მოძრაობა;"

რატი იჩქიტიძე -საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;"

იულონ კოპაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო;"

წიფა:

ელენა ბანცაძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

ნანული დევდარიანი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

გიორგი ლაცაბიძე -„დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

დავით ქურდაძე –პარტია „შენების მოძრაობა;"

მალხაზ ტალახაძე - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;"

ბესიკ ტალახაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

წყალაფორეთი:

იაგო გაბეხაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

მერაბ ქოჩიაშვილი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

დემურ ხიჯაკაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

თამაზ ციცქიშვილი - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;"

მალხაზ ფხალაძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

ხევი:

ბადრი ხაჩიძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

ცოტნე ტაბატაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

თეიმურაზ ტაბატაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

ზურაბ ხაჩიძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

ხუნევი:

დალი ციცქიშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

ჯემალ ციცქიშვილი - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

ენვერ ჩადუნელი - პარტია „შენების მოძრაობა."

ბადრი გოგოლაძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

ლენა აბაშიძე - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

ხიდარი :

ზურაბ ბერაძე -„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;"

გელა ხეცაძე - საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო;"

ლელა იჩქიტიძე - „დავით თარხან - მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი;"

ომარ გაგოშიძე - პარტია „შენების მოძრაობა;"

ბორის ბერაძე - საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა-დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო;"

ნონა ზურაბიანი - პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო."

ვერტყვიჭალაში თვითნებური ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე სკვერი მოეწყო

არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის" პროექტის „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა - მოვალეობა" ფარგლებში, სოფელ ვერტყვიჭალაში ყოფილი თვითნებური ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე სკვერი მოეწყო. აღნიშნული იდეის ინიციატორი ამავე ორგანიზაციის დამფუძნებელი ხათუნა მანჯავიძეა. სკვერის გახსნას გამგებლის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახა ლომიძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველი გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენელი მაია მაღრაძე და სოფლის მცხოვრებლები დაესწრნენ.

ქალბატონმა ხათუნამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ა(ა) იპ ,,ხარაგაულდასუფთავების" თანამშრომლებს გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა,რომ თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა დავიცვათ ბუნება დაბინძურებისაგან და ამ მხრივ ავამაღლოთ ახალგაზრდების ცნობიერება.

ვერტყვიჭალის მოსახლეობა სოფელში სკვერის გახსნით გახარებულია და აღნიშნავენ, რომ მომავალში დასასვენებელ ადგილს გაუფრთხილდებიან და კიდევ უფრო გაალამაზებენ.

მარგალიტა გოგოლაძეს სკვერი ძალიან მოსწონს. იგი მოხარულია, რომ ადგილობრივებს შესაძლებლობა მიეცათ თავისუფალ დროს ამ ლამაზ ადგილას დაისვენონ.

ვერტყვიჭალელი მარეხ კუპრაშვილი ამბობს, რომ ადგილი, სადაც სკვერი მოეწყო, ძალიან დაბინძურებული იყო. ქალბატონი მარეხი კმაყოფილია, რომ სოფელში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მცირედი წვლილიც შეიტანა კეთილი საქმის გაკეთებაში.

ხათუნა მანჯავიძის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში მსგავსი ტიპის სკვერი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულშიც გაკეთდა და უახლოეს მომავალში საქარიქედშიც გაიხსნება.

აღსანიშნავია, რომ პროექტი ქალთა ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და საერთო ჯამში დაახლოებით 7 500 ლარი დაიხარჯა.

ეკა შავიძე

ბიუროს სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მოისმინეს

18 სექტემბერს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ კომისიის თავმჯდომარემ, გივი ხიჯაკაძემ, გააცნო და დეტალურად ისაუბრა კომისიის უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ, ასევე მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე.

გივი ხიჯაკაძის განცხადებით, მუნიციპალიტეტში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით 4 ძირითადი და 12 ქვეპროგრამა მოქმედებს, რომლის ფარგლებშიც ეწევათ ბენეფიციარებს დახმარება. მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით სოციალურ მიმართულებაზე 314238 ლარი დაიხარჯა და შემოსული 1788 განცხადებიდან 1314 დაკმაყოფილდა.

კომისიის თავმჯდომარემ უსინათლოებისათვის ბრაილის შრიფტით შემსწავლელ კურსებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 7 ათასი ლარი დაიხარჯება.

„პროექტში თორმეტი უსინათლოა ჩართული და სწავლება ხუთ თვეზეა გათვლილი. ვფიქრობ, ეს პროგრამა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. პირადად დავესწარი მეცადინეობას და ადგილზე გავეცანი საქმის ვითარებას. ბენეფიციარები ძალიან კმაყოფილები არიან და ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასწავლო კურსები მათთვის აუცილებელი და საჭიროა.“ -აღნიშნა გივი ხიჯაკაძემ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბორის სკოლა-პანსიონში დღის ცენტრის ფუნქციონირების საკითხსაც შეეხო. როგორც ბატონმა გივიმ განმარტა, შენობა კეთილმოწყობილია და განათლების სამინისტროსთან ყველა საკითხი მოგვარებულია. მისივე ინფორმაციით, სოციალურ სამსახურში ამ ეტაზე მიმდინარეობს ბენეფიციართა რეგისტრაცია და დღის ცენტრი ფუნქციონირებას ოქტომბერში დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 2 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

ლელა ბუბულაშვილი

საერთაშორისო კამპანიას – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა

14-16 სექტემბერს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია – ,,დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World) ტარდება, რომელიც 1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით დაფუძნდა. კამპანია სექტემბრის თვეში ტარდება და მასში 130-მდე ქვეყანა მონაწილეობს.

პროექტი გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება. აქციას საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები,“ საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ ახორციელებენ. „დავასუფთაოთ საქართველოს“ მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში.

,,დავასუფთაოთ მსოფლიოს“ ფარგლებში ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქციები ტარდება, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამგეობის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

თამარ მაღრაძე

„სალაშქრო რალის“ ჩემპიონატში ხარაგაულის მოლაშქრეთა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა

უკვე მეორე წელია, საქართველოს მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით საქართველოს მასშტაბით ხორციელდება პროექტი „სალაშქრო რალი“ - ჩემპიონატი ლაშქრობაში, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. მიმდინარე წელს, აღნიშნული პროექტი ორ ეტაპად გაიმართა და პირველ ეტაპზე რეგიონებს შორის შიდაშესარჩევი ტური ჩატარდა. გამოვლინდნენ ფინალისტი გუნდები და იმერეთის მასშტაბით ხარაგაულის მოლაშქრეთა კლუბმა „რკინის ჯვარმა“ გაიმარჯვა.

პროექტის ფინალური ეტაპი 23 და 24 სექტემბერს ბორჯომ -ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ქვაბისხევში, ჩატარდა. ფინალური შეხვედრის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია. „სალაშქრო რალის“ ფინალში ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან თერთმეტი გუნდი დაუპირისპირდა. გუნდებმა 12 კილომეტრიან მონაკვეთზე სხვადასხვა დაბრკოლება გადალახეს. ყველაფერი კი დამოკიდებული იყო სისწრაფესა და დროზე.

ჩემპიონატში თასის მფლობელი სამეგრელოს გუნდი „ჩხოროწყუ“ გახდა. მეორე ადგილი კახეთის რეგიონის თეთრიწყაროს გუნდმა დაიკავა, ხოლო მესამე ადგილზე ხარაგაულის მოლაშქრეთა გუნდი „რკინის ჯვარი“ გავიდა. ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდებს სიგელები გადაეცათ.

„რკინის ჯვარის“ შემადგენლობაში იყვნენ ხარაგაულელი მოლაშქრეები: ბერიკა თურმანიძე (გუნდის ხელმძღვანელი), ვანო ბანცაძე, თინათინ მეტრეველი, ლაშა ღონღაძე, ბერიკა ებანოიძე და დავით ჩიკვაიძე.

„მესამე ადგილი დავიკავეთ და ვთვლი, რომ ეს კარგი შედეგია. შემდეგში ტურნირში არა მარტო საქართველოს მოლაშქრე გუნდები, არამედ მეზობელი ქვეყნის მოლაშქრეებიც იასპარეზებენ. ორგანიზატორებს შევთავაზე, რომ მომავალ წელს ჩემპიონატის ფინალი ხარაგაულში ჩატარდეს, რომლის ორგანიზებაშიც ტურიზმის ცენტრი დაეხმარება,„-აღნიშნა ბერიკა თურმანიძემ.

თამარ მაღრაძე

განცხადება

2017 წლის 17 ნოემბერს 13:00 საათზე, დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა–ხარაგაული–მოლითი–ფონა ჩუმათელეთის საავტომობილო გზის პირველი ლოტის, ძირულა-ხარაგაული-მოლითის მონაკვეთის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ–გვერდზე: www.georoad.ge

დაბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: 9 აპრილის ქუჩა N15 (ბეჭდვური ვერსია)

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

უურაღლება აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ განმეორებითი ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა. ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge განთავსდა.

წინასწარი შესატანი „ბე„-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია. „ ბიჯი„-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%.

აუქციონი 2017 წლის 25 სექტემბერს, 16 საათზე, გამოცხადდა და 2017 წლის 3 ოქტომბერს, 16 საათზე, დასრულდება.

| გაბმეორებითი აუქციონის ობიექტები | | |